**ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს**

**სხდომის**

**ო ქ მ ი # 8**

ქ. ონი 24. 08. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ალავერდ ხვედელიანი.

**ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 8 წევრი:** ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ლევან ორდინიძე, გივი მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, თეიმურაზ ცეცაძე.

**არ ესწრებოდნენ:** ბაჩანა მარკოიშვილი, სონია გუგეშაშვილი, ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე,

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი*

*თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი*

2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია - ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის საინფორმაციო დაფების განახლების შესახებ.

*/მომხსენებელი: ნინო გობეჯიშვილი- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/*

3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის გაწეული მუშაობის შესახებ.

*/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/*

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკითხი-ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის გაწეული მუშაობის შესახებ, საჭიროა გადაიდოს მომხსენებლის ს. გუგეშაშვილის, შვებულებაში ყოფნის გამო.

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი აღნიშნული საკითხის გარეშე.

**მოისმინეს: 1.** ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი*

*თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი*

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ს. ლობჯანიძემ ისაუბრა სოფ. ღებში იმ პრობლემების მოგვარების აუცილებლობის შესახებ, რაც, როგორც მან აღნიშნა, პრიორიტეტულია მოსახლეობისთვის. კერძოდ, ს. ლობჯანიძემ განაცხადა, რომ საჭიროა სოფლის ხიდიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის პროექტირება, ასევე, სანიაღვრე არხის მოწყობა ეკლესიიდან წყარომდე. ისაუბრა სოფ. ღებში მიმდინარე პროექტების, კერძოდ, ,,შიუკაჭალის“ გზისა და ბრილის ხიდის რეაბილიტაციის ხარისხზე. შემდეგ მიმართა მერიის წარმომადგენლებს, ბიუჯეტში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში საქმის კურსში ჩააყენონ საკრებულო და საკითხები შეძლებისდაგვარად დროულად, კანონით განსაზღვრულ ვადებში გადმოგზავნონ, რათა შესაბამისად დროულად მოხდეს ფრაქციებსა და კომისიებში განხილვა.

ა. ხვედელიანმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე საკრებულოსა და მერიის მხრიდან მეტი კონტროლია საჭირო. თანხა იხარჯება, პროექტები ხარისხიანად არ სრულდება. როგორც მეწარმეებთან, ისე ზედამხედველებთან მეტი მუშაობაა საჭირო, რომ კითხვის ნიშნები ამა თუ იმ პროექტის განხორციელების შემდეგ არ დარჩეს. აუცილებელია მაქსიმალური მცდელობა და ჩართულობა, რომ მიმდინარე წელი სასურველი შედეგით, აუთვისებელი თანხების გარეშე დასრულდეს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -7, წინააღმდეგი -1

**გადაწყდა:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს:** 2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია- ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის საინფორმაციო დაფების განახლების შესახებ.

*/მომხსენებელი: ნინო გობეჯიშვილი- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/*

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის საინფორმაციო დაფების განახლების შესახებ.

**გადაწყდა:** საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**ალავერდ ხვედელიანი**

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი